

# ურბანული პროტესტის ენა

ლილე მიქაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური  
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

გამოყენებითი უცხო ენები და საერთაშორისო მოლაპარაკებები/ეკონომიკა  
(ინგლისური-რუსული-აღმოსავლური)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის დოქტორი ემა ქსოვრელი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ლილე მიქაძე

27/02/2021

## აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი შეეხება ურბანული პროტესტის ენის თავისებურებების გამოვლენასა და გაანალიზებას. კერძოდ, ნაშრომში, დისკურსის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, შესწავლილია რუსეთში, აშშ-სა და საქართველოში ინფრასტრუქტურული პროექტების წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო აქციებზე გამოყენებული ბანერები, პოსტერები და პლაკატები. ნაშრომში პროტესტი გაგებულია, როგორც ჯგუფური საკომუნიკაციო აქტი, რომლისთვისაც ენას ფუნქციური მნიშვნელობა გააჩნია. ანალიზის საფუძველზე, გამოვლინდა რიტორიკული ხერხები, რომელთა საშუალებით აქტორები, პროტესტის გამოხატვის პროცესში, ქმნიან დისკურსებს.

**საკვანძო სიტყვები:** პროტესტი, ურბანული პროტესტის ენა, რიტორიკული ხერხები, ბანერი, პოსტერი, პლაკატი, დისკურსის კრიტიკული ანალიზი.

## Abstract

The present paper explores features of urban protest language on the basis of critical discourse analyses of banners, posters, and placards used for protests against infrastructure projects in the countries of the USA, Russia, and Georgia. The concept of protest here is understood as group action for which the language plays a functional role. Based on the analyses, for creating discourse, various rhetorical devices have been identified in the process of expressing protest.

**Key words:** protest, urban protest language, rhetorical devices, banner, poster, placard, critical discourse analyses.